დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე** **წევრი:** **მარიამ ჭყონია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ **ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება**

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240890862

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტი,
ფაქტობრივი მისამართი	ქარელი, სოფელი კეხიჯვარი, სოფელი სამწევრისი
საფოსტო ინდექსი	2523
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	პორტალი: skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kekhijvari@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	#MES 7 26 0000343798 23/03/2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწევრისი (1 შენობა)

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი და სოფელი სამწევრისი (4 შენობა სოფ. კეხიჯვარში და 1 შენობა სოფ. სამწევრისში)
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი და სოფელი სამწევრისი (4 შენობა სოფ. კეხიჯვარში და 1 შენობა სოფ. სამწევრისში)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების #MES 7 26 0000343798 23/03/2026 – „სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ საფუძველზე, მიმდინარე წლის აპრილში განხორციელდა აღნიშნული სკოლის გეგმიური მონიტორინგი დოკუმენტების შესწავლით.

ექსპერტების ჯგუფს ბრძანებით დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება (3.1. კომპონენტის (პერსონალის მართვა) და 3.4 კომპონენტის (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება).

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მ/წლის 15 აპრილს ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ სკოლის დირექტორს და მოადგილეს და მოეპოვებინათ საჭირო ინფორმაცია 3.1. და 3.4. კომპონენტებთან დაკავშირებით და გამოეთხოვათ დამატებითი დოკუმენტაცია.

გეგმიური მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის დოკუმენტაცია, რომლის დროსაც ექსპერტებმა აქცენტი გააკეთეს სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, მარეგულირებელ დოკუმენტებთან ამ პროცესების შესაბამისობაზე და გამოკვეთეს რიგი გარემოებები. სკოლამ გაითვალისწინა ავტორიზაციის პროცესის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული რეკომენდაციები და გეგმიური მონიტორინგის დროისათვის ძირითადად შესრულებული ჰქონდა ეს რეკომენდაციები.

აშკარად გამოიკვეთა პროგრესი ძირითადი და დამხმარე პროცესების კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობის თვალსაზრისით. მონიტორინგის მიმდინარეობისას, სკოლის დირექციამ ითანამშრომლა ექსპერტებთან, წარმოადგინა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, მათ შორის მოთხოვნული დამატებითი დოკუმენტაცია. შედგა ეფექტური კომუნიკაცია.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
400	296

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და დაეთანხმა მას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებილი პოზიცია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სტრუქტურის სავალდებულო ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის სტრუქტურა თავისი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებით განსხვავებულადაა მოცემული სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამასა და სასკოლო დებულებაში. **მიზანშეწონილია** სტრუქტურის სქემა სრულად ასახავდეს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობრივ პოზიციას, ასევე **მიზანშეწონილია** სტრუქტურა სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის (მაგ. სასკოლო დებულების) შემადგენელი ნაწილი იყოს, ასევე **მიზანშეწონილია** სტრუქტურის სქემით და შესაბამისი დოკუმენტებით მკაფიოდ იყოს განსაზღვრული თანამდებობრივი და სტრუქტურული დაქვემდებარებები, ურთიერთმიმართებები და ანგარიშვალდებულებები. **მიზანშეწონილია** საგნობრივი კათედრების დასახელებები ერთნაირად იყოს მითითებული სტრუქტურის სქემაში, ისევე როგორც სასკოლო

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		სასწავლო გეგმაში და სასკოლო დებულებაში მათი იდენტიფიცირების მიზნით. **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი N3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	**მიზანშეწონილია** სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების (მათ შორის დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი) ფუნქციები და მოვალეობები ერთნაირი ფორმულირებით იყოს გაწერილი სხვადასხვა დოკუმენტში (შრომით ხელშეკრულებაში და სასკოლო დებულებაში), რათა არ მოხდეს ფუნქციების გადაფარვა. **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი N3.1.2.6	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	**მიზანშეწონილია,** სკოლის მიერ შემუშავებულ რომელიმე დოკუმენტში გაწერილი იყოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მექანიზმში აღწერილი უნდა იყოს, როგორ ხდება დაწესებულებაში წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, ვინ შეიძლება იყოს აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი და როგორ ხდება გაზიარებული წარმატებული გამოცდილების გამოყენება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისას.
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	**მიზანშეწონილია** სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტების - 1.„პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“ და 2 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი“, სტრუქტურული გამიჯვნა ან გაერთიანება ერთიან, კომპლექსურ დოკუმენტად, რათა თავიდან იქნას აცილებული შინაარსობრივი გადაფარვა და დუბლირება.
ინდიკატორი N3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების	**მიზანშეწონილია** სკოლამ იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.

	შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	
	1.	

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ინდიკატორის #	ინდიკატორი	რეკომენდაცია	რეკომენდაციის შესრულების ვადა	შესრულდა/ არ შესრულდა
#3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას	სკოლამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში **დასაქმებულ ყველა პირს უნდა მოსთხოვოს** „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.	ცნობების წარმოდგენის ვადა - **2024წ. 31.10.**	**შესრულდა**
#3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სოფ. კეხიჯვრის შენობაში, სკოლამ უნდა **აიყვანოს სამედიცინო პერსონალი,** რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურების უზრუნველყოფა - **18.08. 2024წ**.	**არ შესრულდა** **შენიშვნა: <u>სკოლამ შეათანხმა ექთნის შტატი და ჰყავს ექთანი</u>, ასევე გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის პოზიციაზე <u>(იხ. ინდიკატორის აღწერა)</u>**

# 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლამ სოფელ **<u>სამწევრისის</u>** შენობაზე **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა** უნდა შეათანხმოს შესაბამის ორგანოსთან.	სოფ. სამწევრისის შენობაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების ვადა - **16.08.2024**	**შესრულდა**
# 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლამ სოფელ **<u>სამწევრისის</u>** სკოლის შენობაში **უნდა მოაწყოს სამედიცინო სივრცე** დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და აიყვანოს სამედიცინო პერსონალი მინისტრების ბრძანებით დადგენილი კვალიფიკაციის.	სამედიცინო სივრცის მოწყობა სოფ. სამწევრისის შენობაში - **30.10.2024წ.**	**შესრულდა**
# 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლამ უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სოფელ **<u>სამწევრისის</u>** შენობა ნაგებობის **სახანძრო უსაფრთხოები**ს მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.	დასკვნის მოპოვების ვადა **16.08.2024**	**შესრულდა**
# 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლამ უნდა მიიღოს **<u>ორივე სოფლის</u>** შენობაზე აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა ნაგებობის **ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ**	დასკვნის მოპოვების ვადა - **16.08.2024**	**შესრულდა**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის **სტრუქტურის სქემა - ორგანოგრამა,** რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული და თანამდებობრივი დაქვემდებარებები.

სკოლამ წარმოადგინა „სასკოლო დებულება“, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-90 24.07.2023 წელი. დოკუმენტში სკოლას გაწერილი აქვს სტრუქტურული ერთეულებისა და სტრუქტურულ ერთეულებს მიღმა კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელ პოზიციაზე **დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები.** კერძოდ, გაწერილია - სკოლის დირექტორის, სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, საქმისმწარმოებლის, მტუკ-ის, ბიბლიოთეკარის, ექთნის, სკოლის დამხმარე პერსონალის: დამლაგებლის, სკოლის სტრუქტურული ერთეულების და აკადემიური პერსონალის: სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედსაბჭოს, საგნობრივი კათედრების, მასწავლებლების, კლასის დამრიგებლების ფუნქცია-მოვალეობები, ასევე მანდატურის უფლება-მოვალეობები.

დოკუმენტების შესწავლით გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობა სტრუქტურის სქემასა და მის შესაბამის დოკუმენტს - „სასკოლო დებულებას“ შორის. კერძოდ:

სტრუქტურის სქემის/ორგანოგრამის მიხედვით სკოლის სტრუქტურულ ერთეულებად მითითებულია - სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დირექტორი. **სასკოლო დებულების მიხედვით (მუხლი 5)**, კი სკოლის სტრუქტურა მოიცავს - სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს და დამხმარე პერსონალს. **სასკოლო დებულებაში** სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან გაწერილია მხოლოდ პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების ფუნქციები, სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები კი გამოცალკევებულადაა განსაზღვრული, დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები კი სასკოლო დებულებაში საერთოდ არ არის გაწერილი (დისციპლინური კომიტეტის დებულება ცალკე დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი).

გარდა ამისა, **სასკოლო დებულების მიხედვით** (მუხლი 5) სკოლის დირექციაში შედის დირექტორი და მოადგილეები, ბუღალტერი კი მითითებულია ადმინისტრაციაში. სკოლის საშტატო განრიგით დირექციის შმადგენლობა განსაზღვრულია დირექტორით, დირექტორის მოადგილითა და ბუღალტრით.

სტრუქტურაში მითითებულია სასწავლო პროცესის მენეჯერის და ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობრივი პოზიციები. სკოლის წარმომადგენლებთან ონლაინ გასაუბრების დროს ექსპერტებმა დააზუსტეს აღნიშნული პირების ფუნქცია-მოვალეობები და დაადგინეს, რომ ისინი ახორციელებენ სკოლაში პროფესიულ განათლებას.

რჩევა: სტრუქტურის სავალდებულო ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის სტრუქტურა თავისი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებით განსხვავებულადაა მოცემული სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამასა და სასკოლო დებულებაში. მიზანშეწონილია სტრუქტურის სქემა სრულად ასახავდეს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და თანამდებობრივ პოზიციას, ასევე მიზანშეწონილია სტრუქტურა სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის (მაგ. სასკოლო დებულების) შემადგენელი ნაწილი იყოს, ასევე მიზანშეწონილია სტრუქტურის სქემით და შესაბამისი დოკუმენტებით მკაფიოდ განსაზღვრული იყოს თანამდებობრივი და სტრუქტურული დაქვემდებარებები, ურთიერთმიმართებები და ანგარიშვალდებულებები. მიზანშეწონილია საგნობრივი კათედრების დასახელებები ერთნაირად იყოს მითითებული სტრუქტურის სქემაში, ისევე როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში და სასკოლო დებულებაში მათი იდენტიფიცირების მიზნით.

ასევე სკოლამ წარმოადგინა **„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-105 14.08.2023 წელი. ასევე დოკუმენტი - „პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშღომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობის“ დოკუმენტი, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #2-42 04.06. 2025წ.** (MES 7 25 0000002-42). აღნიშნულ დოკუმენტებში ასევე მოცემულია კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელი პირების ფუნქცია-მოვალეობები.

სკოლის პერსონალთან გაფორმებელია **შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც განსაზღვრული სამუშაოს ფუნქციები** შეესაბამება ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის შინაარსს.

სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი.

1. **დირექცია - შედგება სკოლის დირექტორის, დ/მოადგილისა და ბუღალტრისაგან. ადმინისტრაცია შედგება - მტუკ-ის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთკარისაგან.** სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი (2523-26-010-15646).
2. **პედაგოგიურ საბჭოში შედის - 32 მასწავლებელი.** ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი წარმოდგენილია 8 პირით - ერთი ექთანი, ერთი ცეცხლფარეში, 3 დარაჯი და 3 დამლაგებელი.
3. **სამეურვეო საბჭო შედგება 6 წევრისაგან - (3 მასწავლებელი და 3 მშობელი)** - სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის **შედეგების შემაჯამებელი ოქმი 14.07.2025წ.** ასევე „სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი **ოქმის დამტკიცების შესახებ განკარგულება“ 14.07.2025წ**.

4. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩეულია - **2025 წლის 7 ოქტომბერს. ექსპერტებმა შეისწავლეს თვითმმართველობის საარჩევნო დოკუმენტაცია, რაც შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:** 1. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი #1 8 ოქტომბერი 2025 წელი. 2. მოსწავლეთა თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი #1 7 ოქტომებრი 2025 წელი. 3. საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის სხდომების ოქმები #1 8 ოქტომბერი 2025 წელი. მე-7-8-9 კლასებიდან - არჩეულია საბაზოს თავმჯდომარე. ასევე არჩეულია საშუალო საფეხურის თავმჯდომარე. სკოლას შემუშავებული აქვს **მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება,** რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

5. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი - სკოლამ წარმოადგინა **დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი #1 12.10.2025 წელი** - თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ.

6. სკოლაში ფუქნციონირებს - მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა საბჭოს სხდომის ოქმი #1 23.10.2025 წელი და ოქმი #2 25.12.2025წ.

7. სკოლაში ფუქნციონირებს საგნობრივი კათედრები - 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა, რომლებშიც გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი:

- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა *(სტრუქტურის სქემაში მითითებულია - სახელმწიფო ენის კათედრა).*
- ზუსტი მეცნიერებების კათედრა *(სტრუქტურის სქემაში მითითებულია - მათმატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა).*
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა;
- უცხოური ენის კათედრა;
- დაწყებითი (I-IV) კლასების;
- ესთეტიკური და სპორტული აღზრდის კათედრა.

8. კლასის დამრიგებლის ფუნქციები გაწერილია - სასკოლო დებულებაში (მუხლი 23).

9. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფი - ასრულებს ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი და ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქცია-მოვალეობების, ასევე თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის შესახებ დოკუმენტებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელშეწყობა. კერძოდ:

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ორი მიმართულებით: ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული პროგრამების მიმართულებით.

დოკუმენტი „სასკოლო დებულება“ აწესრიგებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. ასევე დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივ პოზიციაზე მყოფი პირების ფუნქცია-მოვალეობებს. **(იხ. #3.1.1.1. ინდიკატორის აღწერა)**

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ (მუხლი 9) მიხედვით გათვალისწინებულია სტრუქტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობა. ამ მიზნით სკოლაში გათვალისწინებულია სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისათვის. ამავე დოკუმენტით გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები ყველა კატეგორიის მასწავლებლისათვის (უფროსი, წამყვანი, სპეც. მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი, შემცვლელი მასწავლებელი). სხვა დოკუმენტებში (სასკოლო დებულება და შრომითი ხელშეკრულებები) მოცემულია სხვადასხვა პოზიციის პირთა სამუშაო აღწერილობები.

ცალკე დოკუმენტია შემუშავებული პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების და სამუშაო აღწერილობის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ - **ბრძანება #2-42 04.06.2025 წელი**. მასში მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამების ხელმძღვანელის. აქვეა მოცემული ზოგადი განათლების პროგრამების მომსახურე პირების სამუშაო აღწერილობები: საქმისმწარმოებლის, შესყიდვების სპეციალისტის.

სკოლამ ასევე წარმოადგინა საგნობრივი **კათედრისა და დამრიგებლის დებულებები, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება.**

დირექტორის ბრძანებებით დელეგირებულია უფლებამოსილებები ცალკეულ დასაქმებულებზე - სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები თანამშრომელთა შორის ფუნქცია-მოვალეობების განაწილების შესახებ:

- **ბრძანება #2-50 09.06.2023 წელი** - პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- **ბრძანება #1/კ-37** 05.09.2023 წელი - კეხიჯვრის პერიფერიის სოფელ სამწევრისის დაწყებით კლასებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- **ბრძანება #2-105 08.09.2025 წელი** - კეხიჯვრის სკოლის მასწავლებლების მორიგეობის გრაფიკის დამტკიცების შესახებ (შენობის სამივე სართულზე ხუთივე სასწავლო დღეს გაწერილია მორიგე მასწავლებელი).
- **ბრძანება #2-05 24.01.2022 წელი** - კეხიჯვრის სკოლის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვასა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებები დასაქმებულ პირებთან:

- ხელშეკრულება ბუღალტერთან #5-43 15.09.2023წ. ხელშეკრულება დირექტორის მოადგილესთან #5-02ა 01.06.2024წ. ხელშეკრულება დამლაგებელთან #5-01 05.03. 2026 წ. -
- ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან #5-03ა 01.06.2024წ.
- ხელშეკრულება დარაჯთან #5.41 15.09. 2022წ.
- ხელშეკრულება ექთანთან #5-08 31.12. 2025 წელი.
- ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან #5-48 15.09.2023წ.
- ხელშეკრულება უფროს სპეციალურ მასწავლებელთან #5-45 15.09. 2023წ.
- ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან #5-34 15.09.2023წ.
- ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან #5-19 15.09.2023წ.

ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი წარმოდგენილია 8 პირით - ერთი ექთანი, ერთი ცეცხლფარეში, 3 დარაჯი და 3 დამლაგებელი. **წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით იკითხება როგორ ინაწილებენ ფუნქციებს ორ სხვადასხვა ლოკაციაზე (სოფ. კეხიჯვრისა და სოფ. სამწევრისის სასწავლო კორპუსებში) მდებარე სასწავლო შენობებში დარაჯები და დამლაგებლები.** კერძოდ:

სკოლას ჰყავს ღამის დარაჯი, რომლის სამუშაო ადგილადაც შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია სოფ. კეხიჯვრის სასწავლო კორპუსი. ხელშეკრულებას (#5-41 15.09.2022წ.) თან ახლავს დარაჯის სამუშაო გრაფიკი, რომლიდანაც ირკვევა, რომ დარაჯი შენობის მორიგეობას ახორციელებს 17.00-საათიდან დილის 8.00 საათამდე დღე-გამოშვებით.

გარდა ღამის დარაჯისა, 2025 წელს **სკოლამ აიყვანა დღის დარაჯი,** რაც იკითხება მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1-ში 23.10.2025წ. ოქმის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია დღის დარაჯის აყვანა. დღის დარაჯი უზრუნველყოფს სკოლის კარების გაღება/დაკეტვას სასკოლო ტრანსპორტის

მოსვლისა და წასვლის პერიოდში, რათა არ მოხდეს მოსწავლეთა გასვლა სკოლის ტერიტორიიდან. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული დარაჯის 3 შტატი საკმარისი ადამიანური რესურსია სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სკოლას ასევე განაწილებული აქვს სამედიცინო მომსახურება ორ სასწავლო შენობას შორის. კერძოდ, სოფ. კეხიჯვრის სასწავლო შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელია ექთანი, ხოლო სოფ. სამწევრისის მეორე შენობაში დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პასუხისმგებელი პირი დ/კლასების მასწავლებელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი დახმარების გაწევას და ექთანთან დროულ კოორდინაციას **(სოფ. კეხიჯვარსა და სოფ. სამწევრისს შორის მანძილი დაახლოებით 3 კმ-ია).**

შრომით ხელშეკრულებებში და სასკოლო დებულებაში სხვადასხვა პოზიციის პირების ფუნქცია-მოვალეობები (დირექტორის მოადგილის, დამლაგებლის, ექთნის, ბიბლიოთეკარის და სხვა) შინაარსობრივად ერთმანეთის იდენტურია, თუმცა აღწერილია გარკვეული სახეცვლილი ფორმულირებებით.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია სასკოლო დებულების დოკუმენტში. ექსპერტებმა შეისწავლეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტაცია (სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, საგნობივი კათედრების). ოქმებში ასახულია მათი სამოქმედო გეგმები და უკვე შესრულებული საქმიანობები 2025-2026 ს/წლისათვის.

დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, ანგარიშვალდებულებები და ფუნქციები **ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და** ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. სკოლა ახერხებს ფუნქცია-მოვალეობების ისე გადანაწილებას, რომ გამართული სასწავლო პროცესი ჰქონდეს და მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ამასვე მიანიშნებს სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განაწილებაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული პირების (მათ შორის დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, დამლაგებელი, ბიბლიოთეკარი) ფუნქციები და მოვალეობები ერთნაირი ფორმულირებით იყოს გაწერილი სხვადასხვა დოკუმენტში (შრომით ხელშეკრულებაში და სასკოლო დებულებაში), რათა არ მოხდეს ფუნქციების გადაფარვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - მოსარგებლე: სსიპ სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლა
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - სოფელ სამწევრისის დაწყებითი სკოლა
- კეხიჯვრის საჯარო სკოლის სტრუქტურა - სქემა
- სასკოლო დებულება - დ/ბრძანება #2-90 24.07.2023 წელი
- სკოლის საშტატო განრიგი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცება - დ/ბრძანება #2-105 14.08.2023 წელი
- პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის შესახებ - დ/ბრძანება #2-42 04.06.2025 წელი
- სამეურვეო საბჭოს შემაჯამებელი ოქმი და ოქმის დამტკიცების შესახებ განსაკურგულება
- თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის ოქმი #1 8.10.2025 წელი
- თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი #1 7.10.2025 წელი
- საბაზო საფეხურის თვითმმართველობის სხდომის ოქმი #1 8.10.2025 წელი
- საშუალო საფეხურის თვითმმართველობის სხდომის ოქმი #1 8.10.2025 წელი
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი #1 12.10.2025 წელი
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #1 02.09.2025 წელი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #2 03.09.2025 წელი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #3 12.09.2025 წელი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #4 02.10.2025 წელი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5 04.11.2025 წელი
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #1 23.10.2025 წელი და სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #2 25.12.2025 წელი
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- მასწავლებლების მორიგეობის გრაფიკი - დ/ბრძანება #2-105 08.09.2025 წელი
- დ/ბრძანება #2-05 24.01.2022 წელი - ხანძრსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- კათედრის დებულება - დ/ბრძანება #2-89 08.09.2022 წელი
- **შრომითი ხელშეკრულებები:** 1. ბუღალტერთან #5-43 15.09.2023წ. 2. დირექტორის მოადგილესთან #5-02ᵃ 01.06.2024წ.

3. ხელშეკრულება უფროს სპეციალურ მასწავლებელთან #5-45 15.09. 2023წ. 4. ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან #5-34 15.09.2023წ. 5. ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან #5-19 15.09.2023წ. **6.** ხელშეკრულება დამლაგებელთან #5-01 05.03. 2026 წ. 7. ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან #5-03› 01.06.2024წ. 8. ხელშეკრულება დარაჯთან #5.41 15.09. 2022წ. 9. ხელშეკრულება ექთანთან #5-08 31.12. 2025 წელი. 10. ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან #5-48 15.09.2023წ.

•

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი **პერსონალის მართვის პროცესების აღმწერი დოკუმენტი - „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ - დამტკიცებულია დ/ბრძანებით #2-105 14.08.2023 წელი.**
დოკუმენტში აღწერილია შემდეგი: მუხლი 10 - კადრების მოზიდვა და შერჩევა, მუხლი 11 - მასწავლებლის შერჩევა, მუხლი 12 - კონკურსის გამოცხადება, მუხლი 13 - კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა, მუხლი 16 - საპრეტენზიო კომისია, მუხლი 18 - ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, მუხლი 19 - შესრულებული სამუშაოს შეფასება, მუხლი 20 - თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. მუხლი 21 - თანამშრომელთა მოტივაცია, მუხლი 22 - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.
მუხლი 17 არეგულირებს პერსონალის კვალიფიკაციას, სკოლამ წარმოადგინა **პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი** - დირექტორის ბრძანება #2-42 04.06.2025 წელი „სოფელ კეხიჯვრის პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“. ზოგადი განათლების მიმართულებით პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი დოკუმენტი სკოლას არა აქვს შემუშავებული - საკვალფიკაციო მოთხოვნები გაბნეულია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში.

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი - რომელშიც აღწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელი პროცესები:
ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო;
ბ) სამუშაო დროის აღრიცხვა.

გ) სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადების ადა გამოუცხადებლობის შემთხვევაში შტყობინების წესი.
დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;
ზ) წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები;
თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.
ი) დისციპლინური დევნა
კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები

სკოლას პერსონალთან გაფორმებული აქვს ინდივიდუალური ხელშეკრულებები.

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში (მუხლი 19) გაწერილია შესრულებული სამუშაოს შესრულება, რომლის მიხედვითაც სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა: 1. სკოლის დირექტორის ანგარიში: მათემატიკის სწავლების მიმართულება - 2025-2026 ს/წ I სემესტრი. 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში - 2025-2026 ს/წ I სემესტრი. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლა პერიოდულად ადგენს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკებსა და შეიმუშავებს მათზე რეაგირების პოლიტიკას. **სკოლაში მოსალოდნელი რისკებია** კონკრეტული მასწავლებლის გამოუცხადებლობა სამსახურში ან/და ჯანმრთელობის რეაბილიტაციის პროცესის გახანგრძლივება, რის გამოც, შესაძლოა, შეფერხდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. **პროცესი სკოლას დარეგულირებული აქვს შემდეგნაირად: სკოლის წარმომადგენლებმა ონლაინ გასაუბრების დროს განაცხადეს, რომ** მსგავს შემთხვევაში ხდება საგაკვეთილო გადანაცვლება - კლასში გაკვეთილს დირექციასთან შეთანხმებით ატარებს სხვა საგნის მასწავლებელი, ამისათვის სკოლა აწარმოებს ჩანაცვლებული მასწავლებლების ჟურნალს - **თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია ჩანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალი.** ონლაინ შეხვედრის დროს სკოლის

წარმოამდგენელმა განაცხადა, რომ ბიულეტენის შემთხვევაში სკოლა ანაზღაურებს საავადმყოფო ფურცელზე გასული მასწავლებლის სახელფასო სარგოს. თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია დირექტორის ბრძანებები საავადმყოფო ფურცელზე გასული მასწავლებლის სახელფასო ანაზღაურების შესახებ ან სხვა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი.

არსებული მონაცემებით შეუძლებელია დაზუსტებით იმის დადგენა, თუ როგორ ხორციელდება სკოლის პრაქტიკაში პრევენციული პროცესები: მაგ. წინასწარი შეტყობინების შემთხვევაში მასწავლებლის მიერ სკოლას გაცდენის აუცილებლობის შესახებ, დროებითი შრომისუუნარობის დროს სკოლაში მასწავლებლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში როგორი ფორმით არეგულირებს სკოლა პერსონალის მართვას, ანაზღაურებს თუ არა გამცდენი მასწავლებელი კი თავის კუთვნილ გაკვეთილებს სკოლაში გამოცხადების პერიოდში და სხვა.

შინაგანაწესი არეგულირებს სამუშაო დროის აღრიცხვას - ყველა დასაქმებული ვალდებულია სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების რეგისტრაცია ასახოს ჟურნალში ხელმოწერის მეშვეობით. ასევე შინაგანაწესი არეგულირებს სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შტყობინების წესს. დირექტორი/დირექტორის მოადგილე აკონტროლებს დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე გამოცხადებას, სამუშაო ადგილის დატოვებას ან გამოუცხადებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი, სადაც გაწერილია პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები. სკოლა პერსონალის შერჩევისა და დასაქმებისას ხელმძღვანელობს თავისივე გაწერილი რეგულაციისა და კანონმდებლობის შესაბამისად - **„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“**.

სკოლას გაწერილი აქვს, თუ რა დოკუმენტებისგან უნდა შედგებოდეს პერსონალის პირადი საქმე, მათ შორის ცნობები ნასამართელობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია: სკოლამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პირს უნდა მოსთხოვოს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.

დამატებითი დოკუმენტების სახით ექსპერტებმა გამოითხოვეს სკოლისაგან აღნიშნული ცნობები, გასაუბრებისას სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ცნობები წარმოდგენილია სკოლის კანცელარიაში, თუმცა ექსპერტებთან ისინი წარმოდგნეილი არ არის და ექსპერტთა ხელთ არსებული მონაცემებით შეუძლებელია ინდიკატორთან შესაბამისობისა და სკოლისათვის გაცემული რეკომენდაციის შესრულების დადგენა.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს (2023 წლის აგვისტო) სკოლას ჰყავდა ექთანი, სკოლაზე გაცენული იყო რეკომენდაცია - სკოლამ უნდა აიყვანოს სამედიცინო პერსონალი (ექიმი), რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/

ექსპერტებმა გამოითხოვეს კონკურსის ჩატარების მასალები. რეკომენდაციის შესრულების მიზნით სკოლამ ჩაატარა შესაბამისი კონკურსი და წარმოადგინა ექიმის კონკურსის მასალები. კერძოდ, დირექტორის ბრძანება #2-96 03.09.2025 წელი „კეხიჯვრის საჯარო სკოლაში ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“. კონკურსი მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდზე pedagogi.ge-ზე გამოცხადდა 1 სექტემბერს, 2025წ. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდის სქრინი, სადაც მითითებულია შემდეგი: ექიმის სამუშაოს დაწყების თარიღი განსაზღვრული იყო 15 იანვარი, 2026 წელი. განსაზღვრული იყო საკვალიფიაკციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღია 1 სექტემბერი 2025 წელი, გამოხმაურების ბოლო თარიღი - 31 დეკემბერი 2025 წელი. სკოლის დირექტორის განცხადებით, კონკურსი ჩაიშალა - კანდიდატმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები. სკოლამ აიყვანა ექთანი, რომელთანაც გააფორმა **ხელშეკრულება 2025 წლის 31 დეკემბერს (ხელშეკრულება #5-08). ექთნის პოზიცია სკოლაში გათვალისწინებულია საშტატო განრიგით, რომელიც შეთანხმებულია საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.**

დირექტორის განცახდებით, სკოლამ რამდენჯერმე გამოაცხადა კონკურსი ექიმის მიღებაზე, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნულის დასტურად სკოლამ წარმოადგინა სქრინები მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდიდან, სადაც ჩანს ექიმის პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსები 2022 წლიდან 2025 წლის ჩათვლით პერიოდში. **ექსპერტებმა დაათვალიერეს მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდზე კეხიჯვრის სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსები. აღმოჩნდა, რომ სკოლამ 6-**

ჯერ გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე, მათ შორის 3-ჯერ ავტორიზაციის გავლისა და შესაბამისი რეკომენდაციის მიღების შემდეგ:

1. 2022 წელი 29 დეკემბერი - კონკურსის ID 58816,
2. 2023 წელი 30 იანვარი - კონკურსის ID 60358,
3. 2023 წელი 16 აგვისტო - კონკურსის ID 64380,
4. 2025 წელი 6 იანვარი - კონკურსის ID 78767,
5. 2025 წელი 15 აპრილი - კონკურსის ID 81748,
6. 2025 წელი 1 სექტემბერი - კონკურსის ID 85694 (სამუშაოს დაწყების თარიღი 2026 წლის 15 იანვარი).

ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალები (გეოგრაფიის მასწავლებლის).

- დირექტორის ბრძანება #2-96 03/09/2025 „სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლაში ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ - 2025 წლი 01 სექტემბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდის სქრინები და გვერდის დათვალიერება
- დირექტორის ბრძანება #2-113 09/09/2025 – „სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ – 01.09.2025წ. – 05.09.2025წ.
- დირექტორის ბრძანება #2-115 09/09/2025 – „სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ - 01.09.2025წ. – 05.09.2025წ.

დასკვნის პროექტში დახარვეზებული იყო ინდიკატორი - პერსონალის პირად საქმეში განთავსებული ცნობების შესახებ (ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ). სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისი ცნობები 9 თანამშრომელზე, მათ შორის მასწავლებლებზე. ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“ და არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გარდა ამისა, სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი #1.2. სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის გათვალისწინებით **სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი. სკოლაზე გაცემული იყო რჩევა ექიმის პოზიციაზე ახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე.** სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და გამოაცხადა ექიმის ვაკანსია, რის მტკიცებულებადაც წარმოადგინა მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდიდან სათანადო სქრინი. კონკურსი გამოცხადებულია მ/წლის 1 მაისს და გამოხმაურების ბოლო თარიღად მითითებულია 2026 წლის 31 აგვისტო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები - „თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ (პროფესისული განათლების მიმართულებით).

- მასწავლებლის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.
- ექთნის შემთხვევაში - N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.
- სკოლაში სხვა პოზიციებზე დასაქმებული პირებისათვის სკოლას თვითონ აქვს განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციებით, სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის, გამოცხადებული კონკურსის და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია: სკოლამ აიყვანოს სამედიცინო პერსონალი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. ამ საკითხზე სკოლამ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მიიღო მისგან პასუხი, რომ რეგიონში კადრის სიმცირის გამო, დროებით სკოლას შეუძლია აიყვანოს ექთანი და სამინისტროსთან შეათანხმა საშტატო განრიგი ექთნის შტატით.

სკოლამ 2025 წელს რამდენჯერმე გამოაცხადა ექიმის პოზიციაზე ვაკანსიები და ვერ შეარჩია ასეთი ექიმი კადრის არარსებობის გამო. ამ ეტაპზე სკოლის სამედიცინო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კვალიფიციური ექთანი (სოფ. კეხიჯვრის სასწავლო კორპუსში, სადაც მოსწავლეთა ძირითადი კონტიგენტია), რაც შესაბამისობაშია მარეგულირებელ ნორმებთან. ექთნის ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისობაშია 2022 წლის 21 მარტის #41/ნ/01-23/ნ ბრძანების მე-4 მუხლის (სკოლის ექთნის კომპეტენცია) მოთხოვნებთან. ***მოცემულ ეტაპზე სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია ექიმის პოზიციაზე (1 მაისი/2026 - 31 აგვისტო/2026).***

სკოლამ ასევე წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანება №1/კ-37 სოფელ სამწევრისის დაწყებითი კლასებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ და ამ პირის დიპლომის ასლი, რომლის მიხედვითაც მან 2005 წელს დაასრულა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური და სამკურნალო საქმის ფაკულტეტი და მიენიჭა დაწყებითი კლასების მასწავლებლის კვალიფიკაცია. მას გავლილი აქვს საქართველოს სკოლის ექიმთა ასოციაციის ლექცია-სემინარი სკოლის სამედიცინო პერსონალის უფლება-მოვალეობები. სოფელ სამწევრისის დაწყებით სკოლაში 18 მოსწავლე სწავლობს - I კლასი, III კლასი, II-IV კლას-კომპლექტი.

სკოლაში გათვალისწინებულია 38 საშტატო ერთეული, მათ შორის 32 მასწავლებელი. სკოლის დირექტორი იმავდროულად არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, რის თაობაზეც გაფორმებულია სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი. სკოლას ჰყავს დირექტორი, დ/მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, მტუკ-ი, ბიბლიოთეკარი, 1 ექთანი, 3 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში.
ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ექთანს - კვალიფიკაცია დიპლომის მიხედვით „მედდა“ - აქვს თბილისის სამედიცინო სასწავლებლის დიპლომი მედდის საქმის სპეციალობით.

პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, დასაქმებულთა ფუნქციების აღმწერ დოკუმენტაციასა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში აღწერილი პროცესი გუნდური მუშაობის პრინციპებზეა დაფუძნებული. **სკოლაში არსებობს კოლეგიალური ორგანოები - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო** და **მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქციით.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. **კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმა,** რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა.

სკოლამ წარმოადგინა ოქმები, რომლებიც ადასტურებს კოლეგიალური ორგანოების მუშაობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულთა მიმართ **წახალისების ფორმები:** მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლა იყენებს წახალისების მექანიზმებს კერძოდ: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ერთჯერადი პრემია. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი და პერსონალის მართვის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტებშიც ასახულია, რომ მოტივაციის ამაღლების მიზნით სკოლა იყენებს წახალისების ფორმებს.

სკოლის დირექტორმა მოიყვანა სკოლაში აღიარების დანერგილი პრაქტიკის მაგალითები - მასწავლებლებისათვის მადლობის სიგელების გადაცემა, სკოლის ფეისბუქზე წარმატების გაზიარება, სამოდელო გაკვეთილის ფარგლებში - წარმატებული გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა კათედრაზე და სხვა. თუმცა სკოლას ცალკე დოკუმენტი არა აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლის მიერ შემუშავებულ რომელიმე დოკუმენტში გაწერილი იყოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. მექანიზმში აღწერილი უნდა იყოს, როგორ ხდება დაწესებულებაში წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, ვინ შეიძლება იყოს აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი და როგორ ხდება გაზიარებული წარმატებული გამოცდილების გამოყენება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის ერთწლიანი **სამოქმედო გეგმა** 2025-2026 ს/წ
- სკოლის შინაგანაწესი
- **სასკოლო სასწავლო გეგმა** 2025-2026 ს/წ
- **სკოლის დირექტორის ანგარიში:** მათემატიკის სწავლების მიმართულება - 2025-2026 ს/წ I სემესტრი
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების **კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში** - 2025-2026 ს/წ I სემესტრი
- მასწავლებელთა **სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში** - 04.09.2024 წელი.
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში 13.02.2025 წელი.
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში 29.04.2026 წელი.
- პროფესიული საჭიროებების დადგენა - **დ/მოადგილის ანგარიში** 27.11.2025 წელი
- პროფესიული საჭიროებების დადგენა - დ/მოადგილის ანგარიში 22.12.2025 წელი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების **კათედრის პორტფოლიო** - 2025-2026 ს/წ
- საზოგადოებრივი მეცნიერებების **კათედრის სხდომის ოქმი** #1 – 08.09.2025 წელი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი #2 – 03.12.2025 წელი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი #3 – 29.12.2025 წელი
- დირექტორის ბრძანება #2-96 03/09/2025 „სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლაში ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად **კონკურსის გამოცხადების შესახებ“** - 2025 წლი 01 სექტემბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- მასწავლებელთა **ვაკანსიების ვებ-გვერდის სქრინები** და გვერდის დათვალიერება
- დირექტორის ბრძანება #2-113 09/09/2025 – „სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად **საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“** – 01.09.2025წ. – 05.09.2025წ.
- დირექტორის ბრძანება #2-115 09/09/2025 – „სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ - 01.09.2025წ. – 05.09.2025წ.

- **საკონკურსო კომისიის ოქმი** #2 11.09.2025 წელი - გეოგრაფიის (ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების) ვაკანტური საათების შესავსებად ჩატარებული ღია კონკურსის შედეგების განსაზღვრის შესახებ.
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმი** #1 23.10.2025 წელი - 1. სამოქმედო გეგმის დამტკიცება, 2. 2025-2026 ს/წ განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვა. 3. სკოლაში დარაჯის აყვანა.
- მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2 25.12.2025 წელი - უსაფრთხოებისა და საზ. წესრიგის დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების განხილვა.
- **პედსაბჭოს ოქმი #1** – 12.01.2026წ.
- დირექტორის ბრძანება #2-44 06.06/2025 წელი - სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცების შესახებ
- დირექტორის ბრძანება #2-42 04.06/2025 წელი - სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულებით თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ
- ექთნისა და სამწევრისის დაწყებითი კლასებში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის დიპლომები
- საქ. სკოლის ექიმთა ასოციაციის სერტიფიკატი - ლექცია-სემინარი - სკოლის სამედიცინო პერსონალის უფლება-მოვალეობები
- **მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდის „სქრინი“ ექიმის ვაკანსიის გამოცხადების შესახებ**
- **პერსონალის პირად საქმეებში განთავსებული სავალდებულო ცნობები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა მოქმედებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ დადგენილი წესით. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტები და დანერგილია სხვადასხვა მექანიზმი. **სკოლას ორივე შენობისთვის (სოფელ კეხიჯვარის და სოფელ სამწვერისი) შემუშავებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა** (2-04 და 2-05 21/01/26);

სკოლას ჰყავს სადღეღამისო დარაჯები და ასევე დირექტორის ბრანებით დღის განმავლობაში მორიგეობენ მასწავლებლები.

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სოფელ სამწევრისის შენობისათვის - „**ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების და მოწყობილობების გამოცდის აქტი“ სამწვერისის შენობისათვის**, რომლის თანახმად „სახანძრო სიგნალიზაცია გამართულ მდგომარეობაშია და ხანძრის დროს ევაკუაციის მართვის სისტემები ვარგისია ექსპლუატაციისთვის. შესაბამისად, შენობის ძირითადი სახანძრო უსაფრთხოების სისტემები ფუნქციონირებს ნორმალურად“ (ამონარიდი აქტიდან).

აღნიშნული აქტის შესწავლითა და ონლაინ-გასაუბრების დროს სკოლის დირექციასთან დამაზუსტებელი შეკითხვებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ „ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლასთან შერწყმული სოფ. სამწევრისის დაწყებითი სკოლაზე“ გაცემული „**ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების და მოწყობილობების გამოცდის აქტი“ წარმოადგენს დასკვნას. იგი გაცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ - „სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანოს ოფიციალური წერილით.**

2. სოფელ კეხიჯვარის სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში შესაბამისობის შეფასების შესახებ წარმოდგენილია სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 28 მარტის დასკვნა, რომლითაც სკოლის შენობის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან დადებითადაა შეფასებული.

ასევე კეხიჯვარის შენობაზე წარმოდგენილია სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ანგარიში, რომლის თანახმად სკოლაში კვამლაღმომჩენი, საგანგაშო და საევაკუაციო მართვის სისტემები მუშა მდგომარეობაშია და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნებს, შესაბამისად, შენობა სახანძრო უსაფრთხოების მხრივ ვარგისია ექსპლუატაციისთვის.

კეხიჯვარის შენობისთვის სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N000409424, რომლის მიხედვითაც შენობის უსაფრთხო ექსპლუატაცია შესაძლებელია.

სოფ. სამწვერისის სკოლის შენობაზე ვერ იქნა წარმოდგენილი მდგრადობის შესახებ დასკვნა (სკოლის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2 დასკვნა, რომლებიც იდენტურია და ორივე დასკვნა შეეხება სოფ. კეხიჯვრის სასწავლო კორპუსს).

სასმელი წყლის გასაწმენდად სკოლაში ფუნქციონირებდა ულტრაიისფერი დასხივების ბაქტერიციდული ნათურა, რომელიც ამჟამად დაზიანებულია. ბაქტერიული დაბინძურების პრევენციის მიზნით აუცილებელია წყლის დამატებითი დამუშავება. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ახალი ულტრაიისფერი ბაქტერიციდული ნათურის შეძენა და მონტაჟი. სკოლამ წარმოადგინა მერიაში გაგზავნილი წერილი შესაბამისი დახმარების გაწევის თხოვნით.

დასკვნის პროექტში სკოლას დახარვეზებული ჰქონდა ინდიკატორი, რადგან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სოფ. სამწევრისის დაწყებითი სკოლის შენობაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა #500631825 17.11.2025წ. დასკვნაში მითითებულია: „სოფელ კეხიჯვრის საჯარო სკოლასთან შერწყმული დაწყებითი საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა კონსტრუქციული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ არსებობს ცალკეული სახის დეფექტები, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას. თუმცა იქვე მითითებულია, რომ არსებული დეფექტები შენობის მდგრადობისათვის საფრთხის შემცველი არ არის და შესაძლებელია სკოლის შენობის ექსპულატაცია“. აღნიშნულის გათვლისწინებით მიგვაჩნია, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების დროულ და ეფექტურ აღმოჩენას. დაწესებულებას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექთანი და შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების ეტაპებს სხვადასხვა სიტუაციაში. ამასთან, სკოლის სხვადასხვა შენობაში ფუნქციონირება ორგანიზებულია შემდეგი პრინციპით: სოფ. კეხიჯვრის სასწავლო შენობაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელია ექთანი, ხოლო სოფ. სამწევრისის დაწყებითი სკოლის მეორე შენობაში დანიშნულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი დახმარების გაწევას და ექთანთან დროულ კოორდინაციას **(მანძილი სოფ. კეხიჯვარსა და სოფ. სამწევრისს შორის სამანქანო გზით 3 კმ-ია, საფეხმავლო გზით - 2 კმ.).** აღნიშნული ორგანიზაციული სისტემა უზრუნველყოფს ყველა ლოკაციაზე რეაგირებას მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შემთხვევის დროს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა ახორციელებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს მანდატური, შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები და შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებულია დ/ბრძანებით #2-98 14.08.2023 წ).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს „ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებას, მათ შორის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. ამ მიზნით, სკოლა ახორციელებს პრევენციულ და რეაგირების

ღონისძიებებს, თანამშრომლობს მანდატურის სამსახურთან და შესაბამის ფსიქო-სოციალურ სერვისებთან, უზრუნველყოფს არსებული მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობას და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს შესაბამის სპეციალისტებს. ფსიქოლოგიურად უსაფრთო სასკოლო გარემოს შექმნაში მონაწილეობენ კლასის დამრიგებლები. სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 ს/წ შესაბამისი მასალები: IX და VI კლასების სადამრიგებლო პროგრამები და ფსიქოლოგიური უსაფრთოების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების აღწერილობა, ჩატარებული კლასის საათის ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც ფუნქციურად განაწილებულია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, ასევე გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სანიტარული კვანძი. სველი წერტილები აღჭურვილია პირადი ჰიგიენის დაცვის აუცილებელი საშუალებებით. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის შიდა მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი საკლასო ოთახების, დერეფნებისა და სველი წერტილების სისუფთავისა და ჰიგიენური მდგომარეობის შესამოწმებლად. სკოლამ წარმოადგინა სანიტარული მდგომარეობის კონტროლის ჟურნალი, რომელიც ასახავს განხორციელებული შემოწმებების შედეგებს, გამოვლენილ საჭიროებებსა და გატარებულ ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემატურ კონტროლს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა იცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონს, ქარელის რესურსცენტრმა სკოლას გამოუყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ქარელის რესურსცენტრის უფროსის ბრძანება MES 1 25 0000324334, 24.03.2025). ასევე სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, მოპოვებული აქვს მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. სკოლას დამტკიცებული აქვს ასევე - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი“,

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტების 1.„პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“ და 2 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი“, სტრუქტურული გამიჯვნა ან გაერთიანება ერთიან, კომპლექსურ დოკუმენტად, რათა თავიდან იქნას აცილებული შინაარსობრივი გადაფარვა და დუბლირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც პერსონალური მონაცემების, ისე სხვა შიდა ინფორმაციის უსაფრთხოებას. ეს მექანიზმები მოიცავს უფლებამოსილი პირების განსაზღვრას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, ინფორმაციული სისტემების დაცვას პაროლებითა და უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებებით, ასევე დოკუმენტაციის კონფიდენციალურად შენახვას ელექტრონულ და მატერიალურ ფორმატში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, დამტკიცებული აქვს მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა, რაც უზრუნველყოფს მმართველობით პროცესებში სხვადასხვა მხარის ჩართულობასა და გადაწყვეტილებების კოლეგიურ განხილვას. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების სისტემატურ მონიტორინგს, რაც მოიცავს არსებული წესების შესრულების კონტროლს, შესაძლო რისკების გამოვლენას და პრევენციული ღონისძიებების შეფასებას. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მომზადებული ანგარიშები წარედგინება მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე, სადაც ხდება მათი განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

რჩევა. მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ორივე შენობის)
- **სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა - სოფ. კეხიჯვრის**
- **სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა - სოფ. სამწევრისის**
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს ანგარიში
- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების და მოწყობილობების გამოცდის აქტი
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- IX კლასის სადამრიგებლო პროგრამა
- სადამრიგებლო აქტივობის აღწერა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური უსაფრთოების შესახებ
- ჩატარებული კლასის საათის ანალიზი თემაზე: ფსიქო ემოციური უსაფრთხოება და ემპათია
- კლასის საათის გეგმა
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე მშობლის წერილობითი თანხმობის ფორმები - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების
- პერსონალურ მონაცემთა დაცბის მონნიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანება #2-50 09.06.2023 წელი
- სანიტარული მდგომარეობის კონტროლის ჟურნალი
- წყლის რეზერვუარის წმენდისა და დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: **11.05.2026 წელი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: